საქართ. მემარცხენე სოც.-ფედერალისტთა რევოლუციური პარტია — მთავარ კომიტეტის ორგანო

# ტრიბუნა

ყოველდღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი „ტრიბუნა“ თვიურად ღირს 45,000 მ. სამგლოვიარო განცხადება პირველ გვერდზე 150,000 მ.: უკანასკნელზე 100,000 მ. კანტორა ღიაა დილის 8—2 ს. რედაქტორის ნახვა შეიძლება მხოლოდ 11—12 საათამდე. რედაქციის მისამართი—ტფილისი სასახლის ქუჩა № 6, ფოსტის ყუთი № 190, ტელეფონი 12—29.

ფასი 5000 მან.

№ 163

კვირა, მარტის 5
1922 წ.

# საქ. ცენტრალური აღმასრულებელ კომიტეტის პირველი სხდომა

კვირას, მარტის 5-ს, საღამოს 6 საათზე, საქართველოს რევკომის თეთრ დარბაზში შესდგება

## პირველი სხდომა

### სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის მუშათა, წითელ არმიელთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებისა.

ყოველდღიური გაზეთი
ტრიბუნა
ორგანო მემარცხენე სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის მთავარი კომიტეტისა.
1922 წლის 1 იანვრიდან თვეში გაგზავნით ღირს 120,000 მანეთი.
ცალკე ნომერი ყველგან 5000 მანეთი.
უფასოდ გაზეთი არავის გაეგზავნება.
ხელის მოწერა მიიღება თვის 1 რიცხვიდან,
რედაქციის და კანტორის მისამართი: ტფილისი, სასახლის ქ. № 6.

ხელოვნების სასახლე
სერგიევის ქუჩა № 13.
ხუთშაბათს მარტის 9-ს
გაიმართება
სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის
მორიგი მეთოთხმეტე
ლიტერატურული
ხუთშაბათი
მოხსენებას წაიკითხავს ალ. წერეთელი
„ალ. შანშიაშვილის პოეზია“
დასაწყისი საღამოს 6 საათზე.

## ახალი გზებით

საქართველოს საბჭოთა ყრილობა დასრულდა. რევკომი მშრომელთა წარმომადგენლებმა შესცვალა. დღეიდან ახალი გზებით უნდა წარიმართოს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი ცხოვრება.

გასული წლის მოქმედება ჩვენს თვალწინ არის. მრავალი დეფექტების თაიგული შეიძლება „შევკონოთ“ როგორც ეკონომიურ, ისე პოლიტიკურ სფეროში, რასაც ადგილი ჰქონდა გასულ წელს.

ბევრი აჩქარება, ბევრი მოუფიქრებლობა იყო დაშვებული გასულ წელს, რომელმაც ფრიად გაურკვეველი მდგომარეობა შექმნა მშრომელთა წრეებშიაც და ხელი შეუწყო საბჭოთა წყობილების უარმყოფ ელემენტების გაძლიერებას.

გასული წლის რევკომების პოლიტიკამ ქართველ ხალხს დაანახვა უფრო აშკარად არა რევოლიუციური შემოქმედება და კომუნიზმის დიად ლოზუნგთა რეალიზაცია, არამედ ის უცხო ძალა, რომლის მეოხებით საქართველოში დამყარდა საბჭოთა წყობილება.

ჩვენ იმ თავითვე მოვითხოვდით, რომ საქართველოსა და ქართველი მშრომელის ინტერესებს მეტი ანგარიში უნდა გაეწიოს და ამ ინტერესთა რეალიზაცია უნდა დაისახოს თავის მოქმედების ლოგიკურ-მოტივად საქართველოს მთავრობამ.

გასულ წელს თუ მრავალი შეცდომები იყო დაშვებული,—დღეს მაინც, როდესაც მშრომელთა დიქტატურა, მართლაც მშრომელთა ხელშია, უნდა იქნეს წარმოებული ისეთი პოლიტიკა, რომელიც მტერსაც და მოყვარესაც დაანახვებს, რომ ქართველი მშრომელი თვითონ არის თავის ბატონ-პატრონი და ის არავის არ დაუთმობს თავის პოზიციებს.

დღეიდან ახალი ხანა იწყება მუშაობისა, რომელსაც დასაწყისი მისცა საქ. საბჭოთა ყრილობამ და საბჭოთა დეპუტატები მისცა მის მიერ არჩეულ მშრომელთა კანონიერ წარმომადგენლებს.

ახალმა გზებმა უნდა მოგვცეს მაქსიმუმი მშრომელთა ინტერესების უზრუნველყოფისა და საქართველოს თავისუფლების განმტკიცებისა.

მშრომელთა საქართველო არ დაშორდება და არც უნდა დაშორდეს რევოლიუციის ორიენტაციას და მხოლოდ ამ გზით განმტკიცდება მისი თავისუფლება.

ბოლშევიკურმა ძალამ უნდა გაამართლოს დღეიდან ყველაფერი ის, რასაც ეს ძალა უქადოდა ქართველ ხალხს. ეს გამართლება [illegible] ახალი გზებით შეიძლება.

## თურქული პრესა

სტამბულის გაზეთ „იკდამ“-ში, „სმირნის მიწა-წყლის“ კომიტეტის მიერ მსოფლიო კაცობრიობისადმი მიმართული მოწოდებიდან, შემდეგი ამონაწერი არის დაბეჭდილი:

მთელს ქვეყნიერებას ვაცნობებთ, რომ სმირნის უკან დაბრუნებამდე მუდამ ჟამ უნდა ვიომოთ.

თურქები, ზავისა და მშვიდობიანობის „ჩამომგდებელი“ და კაცობრიობის გამაბედნიერებელი საქმეებში თავიანთი მუშაობისა და მოღვაწეობის მაქსიმუმამდე მიმტან ელემენტთა გარდასაქმნელად, სულ მუდამ მზად არის.

მაგრამ ამავე დროს, როცა მათ წმინდათა წმინდათ მიჩნეულ დამოუკიდებლობას, რითაც უნდა იყოს შეხებიან, მათი მოგერება და [illegible] აქვთ გადაწყვეტილი. მათ მიერ ამ შეუცვლელ გადაწყვეტილებათა მიხედვით „ეროვნულ ადაქ“-ში მოყვანილი ჩვენი საზღვრებისა და ჩვენი საყვარელი სმირნის ნახვას თუ ველარ ვეღირსეთ, თავისთავათ ანატოლიაც [illegible] არ დაჰყრის. და ამის გამოც არის, რომ, დღემდე მის მიერ გაწირულ ღვიძლ შვილებს, დღესაც თუ საპიროება მოითხოვს, მსხვერპლისა, მრავალი ძმანი მათ კვლავ შეუერთდება „და არასოდეს მტერს მაინც არ დანებდება.

„სმირნის მიწა-წყლის კომიტეტი“ ამ მხურვალე ეროვნული გრძნობის კარნახით, საქვეყნოდ აცხადებს, რომ იგი თავის ეროვნულ მუშაობის ნაყოფის გამოღებაში ამყარებს ღვთის დახმარებაზე, ერის მხნე შემოქმედებაზე, და გმირი არმიის გახთქმულ თავგანწირულებზე და სწამს, რომ „დაახლოებულია“ სმირნის კვლავ დაბრუნებისა და ხსნის კარგი დღეები.

## მოწოდება[1]

### საქართველოს საბჭოთა ყრილობისა მთელი ქვეყნების მშრომელებისადმი

ამხანაგებო!

ჩვენ, საქართველოს მშრომელთა მასის წარმომადგენლებმა, შევიკრიბენით რა საბჭოთა პირველ ყრილობაზე, უძღვნით ძმურ სალამს ყველა დაჩაგრულ მშრომელთ და მებრძოლთ მთელი ქვეყნის ცხოველმყოფელთა წინამძღოლებს, მასთან ერთად ვაცხადებთ ჩვენ აღშფოთებულ პროტესტს იმპერიალიზმს და მათ დამქაშებს, რომელნიც სწორედ ამ ჟამად, ვითომც „საქართველოს დამოუკიდებლობისადმი“ სიყვარულით, კვლავ ამზადებენ ახალ თავდასხმას საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებაზე.

ძალადობის ჯაჭვებით შებოჭილი საქართველო მრავალი წლობით შედიოდა სამეფო იმპერიის შემადგენლობაში და საქართველოს მშრომელი მასსა რუსეთის მუშათა კლასთან ხელჩაკიდებული დიდი ხანია თავგანწირული ებრძოდა მეფის თვითმპყრობელობას, მემამულეთა და ბურჟუაზიის ხელისუფლებას.

საქართველოს მშრომელთა მასა, პოლიტიკურ ბრძოლაში ნაკლებად გამოცდილი—რამდენიმე წლის განმავლობაში ჩაუვარდა ხელში წვრილ ბურჟუაზიულ ქართველ ინტელიგენციას, რომელიც, მენშევიზმის დროშის ქვეშ თავმოყრილი, შეიქნა ქართველი მშრომელი მასის ხელმძღვანელი და ამავე დროს ყოველგვარ დათმობის და შეთანხმების მაძიებელი თვითმპყრობელობასა და მემამულეებთან, რითაც ეს ინტელიგენცია საგრძნობლად აჩლუნგებდა მშრომელი მასის უნარს.

საქართველოში გაბატონებული მენშევიკური პარტია იმპერიალისტური ომის დროს მოქმედებდა მუშათა ინტერესების მოღალატე—[illegible] გამცემ მეორე ინტერნაციონალის ბელადებთან ერთად და მით სწამლავდა ქართველი მშრომელი მასის შეგნებას ბურჟუაზიულ პატრიოტიზმის შხამით.

1917 წლის მარტის რევოლიუციამ დასცა მეფის ტახტი და [illegible] მთელ რუსეთში ხელისუფლება წვრილ ბურჟუაზიულ მენშევიკურ და ესერების პარტიას ჩაუვარდა ხელში. მათ შორის შესამჩნევი ადგილი ეჭირათ ქართველ მენშევიზმის ბელადებს წერეთელს—ჩხეიძეს და სხვებს.

საერთაშორისო პოლიტიკის სფეროში მენშევიზმის ლოზუნგი, როგორც სხვა წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებისა, იყო ანტანტის-იმპერიალისტურ ქვეყნებთან ერთად ხელი ხელ ჩაკიდებულად ომის გაგრძელება. სოციალურ დარგში მენშევიკები სულითა და გულით იცავდნენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას.

პოლიტიკურ დარგში ისინი საჭიროდ სთვლიდენ შეენახათ ბურჟუაზიის ბატონობა, ეგრეთ-წოდებულ „დემოკრატიულ რესპუბლიკის“ სახით, რომელიც, როგორც გამოცდილებით ვიცით, ჩინებული იარაღია [illegible] კაპიტალისტების ხელში მუშა ხალხის დასაჩაგრავად.

ნაციონალურ დარგში მენშევიკები ბურჟუაზიულ და წვრილ ბურჟუაზიულ პარტიებთან ერთად სასტიკ წინააღმდეგობას უწევდნენ ფინების, უკრაინელების და სხვა ეროვნებათა მისწრაფებებს, რომელნიც მეფის დროს მწარედ გმინავდნენ მჩაგვრელი თვითმპყრობელობის უღელ ქვეშ.

თვით საქართველოში მენშევიკები არავითარ ღონისძიებას არ იღებდნენ, რათა, რაც შეიძლება, მეტი დაყოვნებით ხელი შეეშალათ მშრომელთა მასის ბრძოლისათვის მათ ინტერესთა წინააღმდეგ; ხელს უშლიდნენ აგრარულ საკითხის გადაჭრას, სტოვებდნენ სამსახურში მეფის ძველ ჟანდარმობით განთქმულ მოხელეებს და სხვა.

მენშევიკების პარტია, აშკარა ბურჟუაზიულ პარტიასთან ერთად მთელ თავის ძალღონეს ანდომებდა ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლას, რომელთაც ჩამორჩენილ მუშებს და გლეხებს უხსნიდნენ, როგორც რევოლიუციის მტრებს და მეფის აგენტებს.

პოლიტიკური ბრძოლის ისტორიასაც არ ახსოვს ამაზე უსინდისო, სულმდაბლური და ბოროტი ცილისწამება.

პეტროგრადში, ოქტომბრის თითქმის უსისხლო გადატრიალების შემდეგ, რომელმაც დაამხო დამპალი წესწყობილება კერენსკისა და წერეთლის,—[illegible] ერთად კავკასიის მენშევიკების ბელადები სათავეში ჩაუდგნენ ხელმძღვანელებად სამოქალაქო ომს, რომელმაც ერთ ბანაკში მოუყარა თავი ყველა მენშევიკებს, ესერებს, კადეტებს და შავრაზმელებს მუშათა და გლეხთა საბჭოების წინააღმდეგ გასალაშქრებლად.

როდესაც მუშათა რევოლიუციამ, სძლია ყველა დაბრკოლებანი, როდესაც ის იმარჯვებს მთელ სახელმწიფოში, ქართველი მენშევიკები აშორებენ მთელ ამიერ-კავკასიას რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას და ლამობენ გადააქციონ იგი დამოუკიდებელ მემამულეთა და ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ. გასწყვიტეს რა რუსეთის მუშათა კლასთან კავშირი, ისინი წავიდნენ ხელიხელ ჩაკიდებული მშრომელი კლასის დაუძინებელ მტრებთან, როგორც მაგალითად ქართველ ნაციონალისტებთან, სომხების დაშნაკებთან და აზერბეიჯანის მუსავატისტებთან ერთად.

მთელი ამიერ-კავკასია, ქართველი მენშევიკების მეთაურობით, „კონტრ-რევოლიუციონურ ბუდედ გადაიქცა, მხოლოდ იმიტომ, რომ უსათუოდ გაესრისათ გაღვივებული მუშურ-გლეხური რევოლიუცია.

ამრიგად თვით ამიერ-კავკასიაში, რომელიც რუსეთიდან მოწყვეტილი დარჩა არა ნაციონალურ, არამედ კლასიურ ნიადაგზე, მენშევიკების მეთაურობით განხორციელდა შეძლებულ კლასების დიქტატურა მშრომელი მასის კისერზე, დამყარდა მყვლეფელ-მძარცველთა ბატონობა მუშებსა და გლეხებზე.

მენშევიკებმა ხელთ იგდეს ადმინისტრატიულ პოლიციური აპარატი. ისინი ბატონობდნენ საქართველოში და გეზს აძლევდნენ მთელ ამიერ-კავკასიას.

ოსმალების და გერმანელების ამიერ-კავკასიაში შემოსვლამ „საგრძნობლად“ გააძლიერა სხვა და სხვა ეროვნებათა ნაწილების შორის ბრძოლა ბურჟუაზიულ ფრონტზე. ქართველმა მენშევიკებმაც მოხერხებულად შეურჩიეს დრო, რათა [illegible] ამიერ კავკასია და აი სწორედ ამ დროს გამოაცხადეს საქართველოს ვითომდა დამოუკიდებლობა. კაიზერის და სულთანის ჯარებს ისინი საიმედო ფარად სთვლიდნენ—ჩრდილოეთის რევოლიუციის წინააღმდეგ და ამ მხრივ გულდამშვიდებულნი ქართველი მენშევიკები დაუნდობლად უმასპინძლდებოდნენ გაფიცულ მუშების და გლეხების აჯანყებას, რომელიც მუდამ ხან აქ წამოჰყოფდა თავს, ხან მთელი ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეებში.

როგორც წინეთ ჩხეიძის და წერეთლის სახით ქართველი მენშევიკები ლამობდნენ იარაღით ხელში ჩაეკლათ ფინებისა და უკრაინელების ეროვნული თვით გამორკვევა, ისე ეხლაც საქართველოს საზღვრებში ცეცხლით და მახვილით უმასპინძლდებოდნენ აფხაზების, აჭარელების და ოსების ეროვნულ მისწრაფებებს.

გერმანიის მილიტარიზმის დამხობას არ შეუცვლია ჩვენებური მენშევიკების არც შინაგანი, არც საერთაშორისო პოლიტიკა; მათ [illegible] მხოლოდ სხვა ბატონი მოიძებნეს და სხვის კალთას შეაფარეს თავი.

ამ დროიდან მენშევიკები გახდნენ ანტანტის სათამაშო იარაღად. მათ მჭიდრო კავშირი დაიჭირეს ყველა სამხრეთ რუსეთის კონტრ-რევოლიუციონურ ძალებთან. ისინი ხელს უწყობდნენ ყველას და ყველაფერს რასაც კი რაიმე ზიანი უნდა მიეყენებინა საბჭოთა რუსეთისათვის.

[illegible], მათი [illegible] ხმალი უფრო მკაცრად საქართველოს კომუნისტურ პარტიას მოხვდა, რომელსაც სრულებით მოუსპეს ლეგალურად არსებობის საშუალება და აიძულეს ისევ ბნელ სარდაფებში განეგრძო თავისი მუშაობა. მათი ეგრეთწოდებული განსაკუთრებული რაზმი თარეშობდა მხოლოდ ბურჟუაზიულ რესპუბლიკის საკეთილდღეოდ.

ინგლისური საოკუპაციო ჯარების ბათუმში ყოფნამ, საბოლოოდ გაათამამა და უკანასკნელი სირცხვილი დაჰკარგვია მენშევიკებს, რომელთა პროვოკაციული გამოსვლები საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ უფრო აღვირახსნილი და აღმაშფოთებელი შეიქნა. დენიკინს კი საიმედოთ ჰქონდა გამაგრებული ზურგი „დემოკრატიულ საქართველოს წყალობით“.

დენიკინის ჯარების განადგურებამ 1920 წ. დასაწყისში და წითელი ჯარების მოახლოებამ ამიერ-კავკასიის საზღვრებთან, უცბად შეარყია ნაციონალისტური პარტიების ბატონობა ამიერ-კავკასიაში. მშრომელი მასები აღტაცებულნი იყვნენ რევოლიუციონური ლტოლვით. სწორედ ამ ხანაში შეეძლო წითელ არმიას შემოსულიყო საქართველოს საზღვრებში, რომელსაც მთელი მშრომელი ხალხი მოელოდა, როგორც მხსნელსა განმთავისუფლებელს მენშევიკურ-ანტანტის ბატონობისაგან.

მოწინავე მუშები და გლეხები მოუთმენლად მოელოდნენ ამას და დაბეჯითებით იწვევდნენ საბჭოთა მთავრობას საშველად.

საბჭოთა რუსეთის მთავრობამ კი მუშათა და გლეხთა სისხლის დაღვრის თავიდან ასაცილებლად, ერთის მხრივ, და რუსეთის და საქართველოს მუშათა და გლეხთა შორის მტკიცე კავშირის დასამყარებლად,—მეორეს მხრივ,—შეაჩერა წითელ ჯარის შემოყვანა საქართველოს საზღვრებში და ამის მაგივრად დასდო სამშვიდობო ხელშეკრულება 1920 წლის მაისში.

მაგრამ მენშევიკებმა პირველ დღიდანვე ხელშეკრულობის მოწერისა დაიწყეს სისტემატიურად მისი დარღვევა და, ცბიერად თუ ფარულად, ყოველგვარ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა რუსეთის მტრებს, იმ იმედით, რომ საბჭოთა ხელისუფლება, დღეს თუ არა ხვალ, მოისპობა და მუშათა და გლეხთა რევოლიუცია რუსეთში სრულიად ჩაქრებაო. მაგრამ მწარედ მოსტყუვდნენ ეს ვაჟბატონები თავის ანგარიშში... პოლონეთთან ომის დასრულებამ და ვრანგელის განადგურებამ 1920 წ. შემოდგომაზე, აუცილებლივ უნდა მოჰყოლოდა საქართველოს ფლანგის კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტის დაცემა.

მენშევიკებთან შეთანხმების ცდის შემდეგ, როცა მენშევიკების თავგასულობამ და მათმა მუხანათობამ ყოველივე ზომას გადააცილა, რ. ს. ფ. ს. რ. არ შეეძლო განზე გამდგარიყო და გულგრილად ეცქირა იმ ბრძოლისათვის, რომელსაც აწარმოებდა საქართველოს მშრომელთა მასსა მენშევიკურ მთავრობის წინააღმდეგ და სრულიად ბუნებრივია, რომ შეიარაღებული მუშები და გლეხები საბჭოთა

თა ფედერაციისა მოვიდნენ ბურჟუაზიის და მემამულეთა წინააღმდეგ ამხედრებულ საქართველოს მშრომელ მასის დასახმარებლად.

წითელი ჯარი შემოვიდა რევოლუციონურ სულით გაჟღენთილ მხარეში, როგორც მისი მხსნელი და განმათავისუფლებელი.

მენშევიკებისგან შემდგარ ქართულ ეროვნულ ჯარის მომეტებულმა ნაწილმა უარი განაცხადა წითელ ჯართან ომზე და დაუმეგობრდა მას. მოღალატე მენშევიკური მთავრობა სრულიად გამკვეხული ანტანტის გემებით გაიქცა და თან გაიტანა ქართველი ერის ხაზინა.

ამ ხაზინას ხარჯავენ დღეს ისინი იმაზე, რათა უფრო მეტი და უმსგავსო ცილი დასწამონ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკებს და წითელ ჯარს.

მეორე ინტერნაციონალის ლიდერები—კაუცკი, ჰენდერსონი, მაკდონალდი, გიუისმანი და ბევრი სხვა იმპერიალისტური პოლიტიკის და მსოფლიო ბირჟის გაზეთების ხელმძღვანელებთან ერთად, ერთხმად უცხადებენ სიმპატიას საქართველოს დემოკრატიას, ვითომ და შელახულს საბჭოთა იმპერიალიზმისაგან.

ჩვენ, წარმომადგენელნი—საქართველოს ნამდვილ მშრომელ მასისა—მუშები და გლეხები, შეკრებილნი ჩვენს საბჭოთა ყრილობაზე, ვუცხადებთ ჩვენ ზიზღსა და გმობას და სამარცხვინო დაღს ვასვამთ ამ სულმდაბლობით და ცილის წამებით სავსე უსირცხვილო საერთაშორისო კომედიას.

ჰენდერსონის და ვანდერველდის თვალთმაქცურ სიმპატიას კი უპასუხებთ აღშფოთებული ზიზღით ისევე, როგორც მათ მფარველთა—ლონდონის და საფრანგეთის მევახშეთა—სიმპატიას.

ქართველ მენშევიკების მფარველნი კაპიტალისტური და სოციალ-დემოკრატიული წრეები წინადადებას იძლევიან მოვახდინოთ საქართველოში მცხოვრებთა დაკითხვა იმ რეფერენდუმის სახით, როგორც მოახდინა, ან უნდოდა მოეხდინა ანტანტას სილეზიაში, აღმოსავლეთ გალიციაში, ლიტვაში, სომხეთში და სხვა, ერთი სიტყვით, ისეთი რეფერენდუმი, რომელზედაც პასუხი წინდაწინვე იყო გადაწყვეტილი მათ მიერ, ვინც საჭიროდ სცნო მოეწყო ეს დემოკრატიული დაკითხვის კომედია. ჩვენ უარვყოფთ ხალხის ნების ყოფის ასე თვალთმაქცურად საცინლად აგდებას. მშრომელ ქართველ ხალხს არა ერთხელ გამოუთქვამს თავისი ნამდვილი აზრი მრავალჯერ მომხდარი აჯანყება მენშევიკების წინააღმდეგ, ქალაქების და სოფლების საბჭოების არჩევნები ადგილობრივ და ეხლა სრულიად საქართველოს მშრომელთა მასის საბჭოების ყრილობა, რომელიც იძლევა მშრომელი ქართველი ხალხის პოლიტიკურ გამოცდილების გრძნობებისა და სურვილების ნამდვილ და სწორ სურათს,—აი ნამდვილი აზრი და მისწრაფება ქართველი ხალხისა.

წითელი ჯარი ჩვენ გვესაჭიროება მანამ, სანამ არ გაქრება საფრთხე საბჭოთა რესპუბლიკების არსებობისათვის, ე. ი. იმ დრომდე, სანამ მთელი ქვეყნის მუშები არ ჩამოართმევენ ძალა-უფლებას იმპერიალისტურ მტაცებლებს და არ შექმნიან ნამდვილ გარანტიებს ყველა ერების წყნარი, მშვიდობიანი და მეგობრულ თანამშრომლობისათვის. ჩვენ საქართველოს მუშები და გლეხები ყველა საბჭოთა რესპუბლიკების მუშებთან და გლეხებთან ერთად, მოუთმენლად მოველით იმ დღეს, როდესაც იმპერიალიზმის ნამდვილი განიარაღება მოგვცემს ნებას დავშალოთ მეტი ნაწილი წითელი ჯარისა და ჩვენი ძმები დავუბრუნოთ თავის ყანას და სახელოსნოებს მშვიდობიანი შრომის ასაყვავებლად.

ევროპის და მთელი ქვეყნის მუშებო და მშრომელო გლეხობავ! ყურს ნუ ათხოვებთ იმ ჭორებს, რომელსაც ავრცელებენ ჩვენი მტრები, ნუ დაუჯერებთ ცილისწამებას ჩვენ და თქვენი მტრებისაგან მოჩმახულს, ისმინეთ ხმა თქვენი ძმების—ქართველი მუშების და გლეხებისა. წითელი ჯარი არ არის გარეგან ძალმომრეობის იარაღი, ის ჩვენი საკუთარი ბრძოლის საშუალებაა მშრომელთა განსათავისუფლებლად. მას, შემდგარს ყველა ხალხებისაგან დიდი საბჭოთა ფედერაციისა, ასულდგმულებს ერთსულოვანი იდეა ძმობისა და სოლიდარობისა. წითელმა ჯარმა არ იცის ეროვნული დაყოფა, ეროვნული ბრძოლა. ის ერთნაირად იცავს ყველა მშრომელი ხალხის ინტერესებს. გაკოტრებული მენშევიკები და აგენტები ანტანტისა ჟორდანია, წერეთელი, ჩხეიძე—თავის აგიტაციით, რომელსაც ისინი ეწევიან ხალხისაგან წართმეულ ფულით, ცდილობენ შექმნან ხელსაყრელი პირობები ახალი სამხედრო შემოსევისათვის უცხო იმპერიალიზმისა ამიერკავკასიაში. ამისთვის ნოე ჟორდანია ერთ-და-იმავე დროს მიმართავს იმპერიალისტურ თათბირს კანში და ყვითელ სოციალ დემოკრატიულ ინტერნაციონალს.

ჩვენ კი მოგმართავთ თქვენ ევროპის და მთელ ქვეყნის მშრომელთა მასებს მოწოდებით გაუწიოთ რევოლუციონური წინააღმდეგობა იმპერიალიზმის ზრახვებს და მათ მრავალგვარ დამქაშებს.

მოწინავე მუშებო! განუმარტეთ მთელი ქვეყნის მშრომელთ, რომ ძალა-უფლება საქართველოში პირველად მის არსებობიდან იმყოფება ქართველი მუშების და მშრომელი გლეხობის ხელში. ეს ძალა-უფლება ჩვენ მაგრად გვიპყრია ხელში და მას არავის არ დავუთმობთ. მთელი ქვეყნის მუშების წინაშე ჩვენ ვაცხადებთ: მენშევიკების სამ-წლიანი ბატონობის განმავლობაში მუშებისათვის საქართველოში სრულიად არაფერი არ გაკეთებულა, არც გლეხებს მიუღიათ მიწა, რომელსაც მათ მენშევიკები დაჰპირდნენ. მენშევიკებმა თავიანთ ბატონობის დროს, ვერ შესძლეს დაემყარებინათ ვერც შინაგანი და ვერც გარეშე მშვიდობიანობა. მათ მიაღწიეს მას, რომ იმყოფებოდნენ აშკარა მტრულ განწყობილებაში არა მარტო საბჭოთა რუსეთთან, არამედ მეზობელ რესპუბლიკებთანაც. ყველაზე უარესი ის იყო, რომ თვით საქართველოშიც კი უკიდურესად გამწვავდა დამოკიდებულება ეროვნებათა შორის, მათ ნაციონალ-შოვინისტური პოლიტიკის მეოხებით. არა ერთხელ მისულა საქმე სისხლის დვრამდე ეროვნულ ნიადაგზე. საბჭოთა ძალა-უფლებამ კი სულ მოკლე ხანში შესძლო გადაეწყვიტა უმტკივნეულოდ საჭირო ძირითადი საკითხებისა მიწა მთლად გადაცემულია მშრომელთათვის ყოველგვარი ექსპლოატაცია მიწით სარგებლობის დარგში მოსპობილია, დამყარებულია ნაციონალური მშვიდობა, შიგნით, ყველა ეროვნებათა შორის არსებობს მშვიდობიანი და ძმური დამოკიდებულება საქართველოს გარეშე მყოფთ, როგორც საბჭოთა, ისე არა საბჭოთა სახელმწიფოებთან.

საბჭოთა ძალაუფლების საქართველოში ერთი წლის არსებობის დროს მშვიდობიანობა და სიწყნარე არც შიგნით და არც გარეშე, ერთ წუთსაც არ დარღვეულა. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ყველა ხალხთან მშვიდობით ვიცხოვრებთ და ძმურ თანამშრომლობას ვაწარმოებთ. ჩვენ ვაშენებთ მრავალ წლის იმპერიალისტურ და სამოქალაქო ომებით დანგრეულ ეკონომიურ ცხოვრებას და სრული ოპტიმიზმით ვაცხადებთ, რომ ახლო მომავალში გამარჯვებული გამოვალთ სამეურნეო ფრონტზე ისე, როგორც გამარჯვებული დავრჩით სამოქალაქო ომის ფრონტზე.

შეგნებულნო და პატიოსანო ჯარისკაცნო და მეზღვაურნო! განუმარტეთ თქვენს ძმებს, რომ ბურჟუაზიულ საქართველოს აღდგენა შეიძლება მხოლოდ მუშათა და გლეხთა გვამებზე. ჩვენ როგორც ერთი კაცი წინადუდგებით ყოველივე ცდას, რომელიც მიმართული იქნება მენშევიკური ცრუ დემოკრატიის საზიზღარ და მძულვარე სამეფოს აღდგენისაკენ ამ ლოზუნგით: თავისუფლება ან სიკვდილი.

ჩვენი კავშირი საბჭოთა სომხეთთან, საბჭოთა აზერბეიჯანთან და მთელ რუსეთის საბჭოთა ფედერატიულ სოციალისტურ რესპუბლიკასთან უკვე განმტკიცებულია და დარჩება მიუვალ და დაურღვეველ სიმაგრეთ მსოფლიო მშრომელ კლასისა.

ამხანაგებო, მუშებო და მშრომელო გლეხებო ევროპისა და მთელი ქვეყნისა! ჩვენ მოგმართავთ თქვენ ამ ძმური მოწოდებით მსოფლიოს მშრომელთა მასების ჩვენთან სოლიდარულ გრძნობისა და ძმურ გაერთიანებისათვის.

გაუმარჯოს საბჭოების ძალა-უფლებას.

გაუმარჯოს საერთაშორისო პროლეტარულ რევოლუციას!

## ამხ. მ. გაბაშელის სიტყვა

ამხ. მ. გაბაშელი: ამხანაგო დელეგატებო, სრულიად საქართველოს საბჭოთა დელეგატების ყრილობა, როგორც საქართველოს მშრომელთა ინტერესების დამცველი და საქართველოს ხელისუფლების უზენაესი ორგანო, მოწვეულია დღეს, რომ სთქვას მტკიცე სიტყვა თუ როგორი უნდა იყოს ის თავის დღევანდელ მდგომარეობაში და რა ხაზს დაადგება იგი მომავალში თავის ხელისუფლების განსამტკიცებლად. თქვენ ამხანაგებო, მოისმინეთ დღეს ვრცელი მოხსენება ჩვენი შინაური და საგარეო მდგომარეობის შესახებ. თქვენ გაითვალისწინეთ ის ნამუშევარი, რომელიც საქართველოს მშრომელმა ხალხმა ამ ერთი წლის ბატონობის განმავლობაში შესძლო გაეკეთებინა თავის ძალა-უფლების განსამტკიცებლად და თავის ინტერესების დასაცავად. ეს მოხსენება ჩვენ უნდა გამოვიყენოთ მასალად და დღეს მტკიცე სიტყვა ვსთქვათ თუ რა გზას უნდა დაადგეს მომავალში ჩვენი მთავრობა, მისი აღმასრულებელი ორგანოს სახით. მე ამ მხრივ როგორც მემარცხ. სოც.-ფედ. პარტიის წარმომადგენელმა, მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებას: სოც.-ფედ. პარტია ამხანაგებო, არსებობს და მოღვაწეობს საქართველოს ფარგლებში 19 წლის განმავლობაში. დღიდან თავის მოქმედების დაწყებისა მან მთელი მშრომელი ხალხის დასანახავად და გასაგონად აშკარად დააწერა თავის დროშაზე ორი სიტყვა, ეს იყო ამხანაგებო, ნაციონალიზმით ინტერნაციონალისკენ.

ეს ორი ლოზუნგი ასულდგმულებდა მთელ მის მოქმედებას. ეს ორი ლოზუნგი გულისხმობდა და იყო მამოძრავებელი ძალა მთელი მისი მოქმედებისა. ეს ორი ლოზუნგი, როგორც წარსულში, ისე დღესაც მშვენიერად გვიშლის და გვიჩვენებს იმ გზას, რომელზედაც უნდა დადგეს ყოველი ხელისუფლება, რომელიც არის მოწვეული საქართველოს მშრომელი ხალხის ინტერესების დასაცავად, თქვენ, ალბად იცით, რომ საქმე ლოზუნგები კი არაა, არამედ ყოველივე შემეცნების სფეროებში და მის კონკრეტიულად გამოყენებაში. თქვენ იცით, რომ ამ საკითხების გარშემო სოც. ფედ. ფრაქციის მუდმივი ბრძოლა ჰქონდა და ხაზს უსვამდა თავის მოქმედებას, როგორც მარცხნივ, ისე მარჯვნივ. შემეცნება ეროვნული, ნაციონალური მშრომელ ხალხის მტრებს სულ სხვანაირად ესმოდათ, ჩვენ სოც.-ფედერალისტებს ეს ლოზუნგი გვესმის, როგორც საქართველოს ერის უმრავლესობის ინტერესების დაცვა და მისი გაგება. დღეს, ვისაც გამბედაობა აქვს, მთელი ერის მშრომელი მასის გასაგონად ილაპარაკოს, მან უნდა სთქვას, რომ დღეს აუცილებლად იგი სდგას იმ ნიადაგზე, რომ საქართველოს ერი მას ესმის, როგორც მისი მშრომელთა უმრავლესობა და ყველა მოქმედი პოლიტიკური პარტია, რომელიც თავის თავს სოციალისტურს ეძახის, ამ ცნებას ერთ წუთსაც ვერ უღალატებს და ამ ნიადაგს ვერ დაშორდება. ჩვენდა საუბედუროდ ამ ცნების გაგებაში მრავალი გაუგებრობა იყო. ყველას თავისებურად ესმის ეს სიტყვა, მაგრამ ჩვენ გვითქვამს და ვამბობთ—ეს ორი ლოზუნგი ისე მჭიდროდ არის შეკავშირებული ერთი მეორესთან, როგორც კიბის ორი საფეხური. ჩვენ წარმოუდგენლად მიგვაჩნია დაშორება ამ ორი მომენტისა. ვისაც სწამს ინტერნაციონალი, საერთაშორისო ძმური კავშირი—ის აუცილებლად პირველ საფეხურზე უნდა დადგეს და თუ ამას არ იზამს, ის ვერ ავა მეორე—საფეხურზე. ამრიგად, თუ გაითვალისწინებთ ამ მდგომარეობას, აშკარა გახდება თუ რა უნდა გავაკეთოთ ჩვენ. როგორც შინაურ, ისე საგარეო პოლიტიკაში.

ეს შინაური პოლიტიკა არის სავსებით განსაზღვრული იმ მომენტით, რომელსაც ხაზი გავუსვით. ყოველი ხელისუფლება, რომელიც თავის თავს უწოდებს ხალხის ინტერესების დამცველს, ეცდება ამ ორ მომენტს გაუწიოს ანგარიში. მაშასადამე, რაკი იგი გამომხატველია მშრომელი მასის ძალა-უფლების, მაშასადამე, შინაურ პოლიტიკაში ყოველი ჩვენი ნაბიჯი შეფარდებული უნდა იყოს მშრომელი ხალხის ინტერესების დაცვაზე. ამ მხრით ქართველი ერი და განსაკუთრებით მისი საუკეთესო წარმომადგენლები ყოველთვის ამბობდნენ და იტყვიან, რომ მან უნდა იცოცხლოს და იგი ეძიებს საშუალებას შეგრძნებს და თავის მოკავშირეებს თავის მიწა-წყალზე მცხოვრების, რომ იცოცხლონ ერთად და ერთი საერთო უფლები სწყინ. მაშასადამე, შინაურ პოლიტიკაში ჩვენ უნდა დავადგეთ იმ გზას, რომელიც ამკვიდრებს ჩვენს ტერიტორიაზე მშრომელი ხალხის შორის სოლიდარობის განმტკიცებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა დავივიწყოთ ჩვენი ერის ინტერესები. ჩვენი ერის ინტერესების დაცვა, არის სახელმწიფოებრივი შემეცნება; რადგანაც საბჭოთა რესპუბლიკა არის სახელმწიფოებრივი შემეცნება,—აუცილებელია, საზოგადოდ, სამი დამახასიათებელი მომენტი: ერი, ტერიტორია და ძალა უფლება.

თავმჯდომარე: თქვენს განკარგულებაში მხოლოდ ხუთი წუთი დარჩა.

ამხ. გაბაშელი: ტერიტორია, ამხანაგებო, დარღვეულია. მაშასადამე, ის ძალა-უფლება, რომელსაც უნდა ქართველი ერის წარმომადგენელი იყოს, ყოველთვის მედგრად უნდა იდგეს სადარაჯოზე მის სუვერენულ უფლებების დასაცავად. ერის უმთავრეს ატრიბუტს წარმოადგენს მისი ენა. ეს ენა დღეს-დღეობით არ არის სამწუხაროდ იმ მდგომარეობაში, რა მდგომარეობაშიაც უნდა იყოს. ვერავინ ვერ იტყვის, რომ საბჭოთა ხელისუფლებას სურს ამ მდგომარეობის შექმნა, მაგრამ არის მრავალი დაბრკოლებანი და საბჭოთა ხელისუფლება, როგორც საუკეთესო დამცველი მშრომელი ხალხის ინტერესებისა, მოვალეა მთელი თავისი ძალ-ღონით მტკიცედ გაატაროს ამ საქმის მოწესრიგება. რაც შეეხება ხელისუფლებას, „ჩვენ ვიცით, რომ ერთად-ერთი ხელისუფლება, რომელიც შეფარდებულია დღევანდელ პირობებში მშრომელი ხალხის ინტერესებთან, არის საბჭოთა ხელისუფლება, რომელიც გამომხატველია მშრომელი ხალხის ბატონობისა და მისი დიქტატურის, მაშასადამე, როგორც შიგნით, ისე გარეთ, უნდა ვსთქვათ, რომ ქართველი ხალხის ერთად-ერთი კანონიერი ხელისუფლება, რომელსაც შეუძლიან ილაპარაკოს ქართველი ერის პირით, მისი სახელით—არის საბჭოთა ხელისუფლება. ეს უნდა ვსთქვათ როგორც შიგნით, ისე გარეთ, საერთაშორისო იმპერიალისტების გასაგონად. როცა ამ საკითხს მივუდგებით, გარკვეულად უნდა ვსთქვათ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ის ძალა, რომელიც ეყრდნობა ქართველი ხალხის ინტერესებს, მხოლოდ ეს ძალა არის მისი წარმომადგენელი, მისი ინტერესების დამცველი. მხოლოდ მას აქვს უფლება ამ ინტერესების დაცვისა. ჩვენ ვიცით, ამხანაგებო, რომ საერთაშორისო მდგომარეობა ძალიან რთულია, და ჩვენ ვალდებულნი ვართ ამ მდგომარეობას ანგარიში გაუწიოთ. ჩვენ ანგარიში უნდა გაუწიოთ ყოველ იმ ძალას, რომელიც ჩვენს გარეშემო მოქმედობს. ჩვენ ყოველთვის ვამბობდით და ვამბობთ, რომ ჩვენ მივისწრაფით იმ ძალებისაკენ, რომელნიც ჩვენთან ერთად „ემსახურებიან ერთ მიზანს და ჩვენთან ერთად ერთი გზით მიდიან, ქართველი ხალხი ხელს გაუწვდის მხოლოდ მას, ვინც საერთო მიზანს ემსახურება, და ანგარიშს გაუწევს მის ინტერესებს, ამნაირად მოხდება ლიკვიდაცია კონტრ-რევოლუციისა და იმპერიალიზმისა მეორე მხრივ. და ცხადია—ამ საერთაშორისო მდგომარეობიდან რა ორიენტაციას უნდა დავადგეთ, რას უნდა ვემსახუროთ. აშკარაა, რომ არც ერთ შეგნებულ მოქალაქეს, ქართველი ერის მოყვარულს არ შეეძლო ეთქვა, რომ ის ორიენტაცია, რომელიც იყო 25 თებერვლის რევოლუციამდე, შეეფერებოდა ქართველი ერის ინტერესებს. (თავმჯდომარე ზარს რეკავს—ხმები ადგილებიდან—გთხოვთ გააგრძელოთ).

# სრულიად საქართველოს საბჭოთა პირველი ყრილობა

(მესამე სხდომა)

სხდომა იხსნება დილის 10 საათზე და 45 წუთზე.

თავმჯდომარეობს ამხ. გეგეჭკორი

(გაგრძელება)

ამხ. მ. ტოროშელიძე: ამხანაგებო, მოხსენებას გავაკეთებ რუსულად, ვინაიდან მომიხდება დიდი ციფრებით ლაპარაკი, რომელიც უფრო ადვილი შესათვისებელია რუსულ ენაზე. ჩემი მოხსენება განიყოფება ორ ნაწილად: პირველი ანგარიში უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მოქმედებისა-ეკონომიისა, რომელიც უნდა გიჩვენოს თქვენ თუ რა გააკეთა საბჭოთა ხელისუფლების დროს ე. ი. 10 თვის განმავლობაში 1 იანვრამდე ეკონომიურ პოლიტიკის დარგში, და მეორე არის ჯამი ყოველივე იმისა, რაც საშუალებას იძლევა საქართველოში მომავალ ეკონომიურ პოლიტიკის გატარების შესახებ. ამხანაგებო, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს არსებობა დაიწყებულ 1921 წ. მარტის 1 რიცხვიდან ძალიან მძიმე გზის ცვლილების შემდეგ ჩამოყალიბდა განსაზღვრულ ფორმაში სახალხო დეკრეტების თანახმად. ამ დეკრეტებით ყველა სამრეწველო ხასიათის წარმოებანი ეკუთვნიან უმაღლეს სამეურნეო საბჭოს, რადგანაც მრეწველობა სხვა და სხვა ხასიათისაა, ამისათვის უმაღლეს სამეურნეო საბჭოს მუშაობა წარმოებათა ხელმძღვანელობა—მმართველ აპის ძხრივ ნაწილდება სხვა და სხვა სათანადო განყოფილებებათ. ეს განყოფილებები შედგება: სამთო, სატყეო, ლითონის, ქიმიურ, სახელმწიფო აღმშენებლობათა ცენტრალური, თამბაქოს, ტყავეულობის, საქსოვ-საფეიქრო, პოლიგრაფიული და სატრანსპორტო სამხარეო განყოფილება. ყველა განყოფილებას შიგნით აქვს დასაშლელი ცალკე დარგის წარმოებათა მრეწველობა სათბობისა და ნედლი მასალის მომარაგება და აგრეთვე განაწილება და განაღდება ფაბრიკატებისა ვალდება მომარაგების ხაზით („სოვნაბი“). გვაქვს აგრეთვე საფინანსო განყოფილება, რომელიც ანგარიშებს გახედავს, აგრეთვე სამადმინისტრაციო, სტატისტიკურ-აღმრიცხავი და საწარმოო.

ასეთია ორგანიზაციული სქემა ცენტრის, ადგილობრივ კი—არსებობენ ეკონომიური განყოფილებანი სხვა და სხვა კონსტრუქციისა, არსებითად კი მუშაობის პირობებს განაგრძობს.

მრეწველობის შესახებ, უმაღლეს სამეურნეო საბჭოს პრეზიდიუმმა შეიმუშავა პროექტი დეკრეტისა, რომელიც გამოაქვეყნა რევოლუციონურმა კომიტეტმა № 42-ით. ყველა სამრეწველო დაწესებულებანი, რომელთაც აქვთ მანქანა—ძრავები და ყავთ არა ნაკლებ ათი მუშისა, უძრავთ კი არა ნაკლებ ოცი მუშისა, ან ძრავი არა ნაკლებ 25 ძალისა გამოცხადებულნი არიან სახელმწიფოს საკუთრებად. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს უფლება აქვს ისინი იჯარით გასცეს ეს იყო საერთო დეკრეტი. რომლის შემდეგ უმაღლეს სამეურნეო საბჭო შეუდგა ყველა სამრეწველო დაწესებულებათა გამოკვლევას. აგრეთვე გამოცემულ იყო დეკრეტი ელექტრონის სადგურების, პოლიგრაფიულ წარმოებათა გაეროვნების შესახებ ჯერ კიდევ № 42 დეკრეტის გამოქვეყნებამდე უ. ს. ს. შეადგინა კომისია, რომელიც იკვლევდა სხვა და სხვა დარგის წარმოებებს იმ მიზნით, რომელიც მათგანი უნდა ყოფილიყო გაეროვნებული და რომელნი არა. უნდა აღვნიშნოთ, რომ უ. ს. ს. ძალიან ფრთხილად იქცეოდა ამ საკითხში, რათა ხელი არ შეეწყო მეურნეობის დაშლისათვის. ამ შემთხვევაში უ. ს. ს. ბრძოლა უნდებოდა საწარმოვო განყოფილებებსა და პროფკავშირთა საბჭოთან, რომელნიც ცდილობდნენ წვრილ და უმნიშვნელო წარმოებათა გაეროვნებისაკენ.

თანახმად სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებისა, გაეროვნებულ იქნენ სხვა და სხვა წარმოებანი, რომელნიც განყოფილებებში განაწილებულნი შემდეგ ნაირად: სამთო განყოფილებაში ტყიბულის ქვანახშირის მადაროები და ცეცხლ მიუკარებელი თიხის ქარხანა, რომელსაც ნაციონალიზაცია მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე. მე ამაზე ვლაპარაკობ იმისათვის, რომ იცოდეთ რა და რა წარმოებანი იყვნენ უმაღლეს სახალხო მეურნეობის საბჭოს განკარგულებაში; სახელმწიფო აღმშენებლობის კომიტეტში ანდრეოლეტის აგურ-კრამიტის ქარხანა, მოქ. სოსინის ცემენტის ქარხანა, სამი კირის ქარხანა, სამი აგურის ქარხანა, ერთი კრამიტის ქარხანა „ფენიქსი“; საფეიქრო სამმართველო განყოფილებაში; ორი ბამბის ძაფის ქარხანა, ერთი ბამბის ქარხანა, ერთი მაუდის ქარხანა, ორი მაუდის ქარხანა, აბრეშუმის საქსოვი სახელოსნო, მატყლის ძაფის საგრეხი სახელოსნო, ექვსი საფეიქრო სახელოსნო; თამბაქოს განყოფილებაში: 18 თამბაქოს ქარხანა და ერთი კოლოფის სახელოსნო, ლითონის განყოფილებაში; ერთი სპილენძის ქარხანა, ორი ლითონის ქარხანა და ორი ტექნიკური სახელოსნოები; ტყავეულობის განყოფილებაში: შვიდი ტყავეულობის ქარხანა, ორი ფეხსაცმლის ქარხანა.

ამ რიგად გაეროვნებულია ჩვენ მიერ სულ 90-მდე წარმოება და 36 [illegible] შესახები, თავიდანვე მიღებულ იქნა ზომები წარმოებათა ნგრევის გაგრძელების თავიდან ასაცილებლად. ეს ნგრევა დაიწყო საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე, საჭირო იყო წარმოების განვითარების უზრუნველყოფა, რამდენად მივაღწიეთ ამ მხრივ წარმატებას ამას გვიჩვენებს ჩვენ მიერ მოყვანილი ციფრები, რომელნიც ახასიათებენ საქართველოს მდგომარეობას 1921 წლის განმავლობაში. მე მოვიყვან მხოლოდ ზოგიერთ ციფრებს, რომ ნათლად სცნოთ თუ რამდენად წარმატებით დასრულდა სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ამოცანები, რომელნიც მე თქვენ დაგისურათეთ. დავიწყოთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ფრიად მნიშვნელოვან დარგიდან — სამთო მრეწველობიდან, ტყიბულის ქვა-ნახშირის მადაროებიდან თქვენ თითონ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს არის მთავარი ცენტრი ჩვენი მრეწველობისა, ამ მადაროების წარმოება უდრის წელიწადში 4 მილიონ ფუთ ნახშირს და 33000 ფუთ თვეში. 1920 წელს მენშევიკების ბატონობის დროს,

ამოღებულ ქვანახშირის რაოდენობა უდრიდა თვეში 493,330 ფუთს, ან უკეთ რომ ვსთქვათ წარმოების ნაყოფიერებამ მიაღწია 138 პროც. ხოლო 1921 წელს ეს რიცხვი დაეცა 103 პროცენტამდე. თუმცალა ციფრების შედარება ლაპარაკობს ჩვენს წინაამდეგ, მაგრამ თუ ახლო დაუკვირდებით, საქმე სულ სხვანაირათაა. უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ ტყიბულის მაღაროები ნორმალურ პირობებში იძლეოდენ წელიწადში 3000.000 ფუთ ქვანახშირს, 1920 წელს კი 490.000 ფუთ თვეში,—შედარებით წინა წლებისა 1920 წელი იყო ზედმიწევნით ნაყოფიერი. 1921 წლის პირველი ორი თვე, რომელიც ამავე დროს იყო უკანასკნელი ორი თვე მენშევიკებისა, უფრო საოცარია თავის შედეგებით. ამ ორი თვის წარმოების ნაყოფიერება ორჯელ აღემატება თეორიულად ნავარაუდევ შესაძლებლობას, ეს რაოდენობა უდრის იანვარში 952,143 ფუთს, თებერვალში 882,108 ფუთს, რით აიხსნება მენშევიკური მეურნეობის ასეთი პირველ შეხედულებით დიდი წარმატება? მოწმობენ თუ არა ეს ციფრები მენშევიკების ბრწყინვალე ნიჭს სახალხო მეურნეობის ადმინისტრაციაში? პირიქით, ეს ფაქტი იმის მაჩვენებელია, რომ მენშევიკები სრულებით არ უწევდნენ ანგარიშს სამეურნეო მოქმედების ელემენტარულ მოთხოვნილებებს; ამას უნდა ჰქონოდა ადგილი იმ განსაკუთრებით არა ხელსაყრელ პირობებში, რომლებშიაც ჩავარდნენ მენშევიკები. საქმე იმაშია, რომ მენშევიკური მთავრობა, რომელიც მოგონილი იყო აზერბაიჯანს და ამიტომ ნავთის მიღების ყოველივე იმედი დაკარგული ჰქონდა, იძულებული გახდა რკინის გზის და მთელი წარმოების, გაჩერების შიშის ქვეშ დაადგა ტეხნიკური მხრით მაღაროების სრულებით არა ნორმალური ექსპლოატაციის გზას, მაღაროების დაუკმაყოფილებელ ისეთ პირობებში, როდესაც ათასობით მუშათა საცხოვრებელი და თვით მაღაროები საშიშროების ქვეშ იმყოფებოდნენ, ასეთ ექსპლოატაციის ნაყოფმა იჩინა თავი, დაიწყო მთელი რიგი ზვავებისა მაღაროებში, რამაც შექმნა წარმოების გაგრძელების შეუძლებლობა. ამ რიგად მენშევიკებმა ჩვენ დაგვიტოვეს მძიმე მემკვიდრეობა—დანგრეული მაღაროები. ჩვენ იძულებული გავხდით შეგვემცირებინა მაღაროების ნაყოფიერება და მთავარი ყურადღება მიგვექცია ტეხნიკური მხრით მათი გაუმჯობესებისათვის.

დიდიხნის განმავლობაში ტეხნიკური მუშაობის გაუმჯობესობას მოხმარდა უმეტესი ნაწილი ჩვენი სამუშაო ენერგიისა; მიუხედავად ამისა, მაღაროების წარმოება არ ჩამორჩებოდა ნორმალურ შედეგებს, იმ ნორმებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ ომის დაწყებამდე. ეს დამაკმაყოფილებელი მაჩვენებელია იმაზე, რომ 1919 წელში, როდესაც მაღაროები ხელში ჰქონდათ მენშევიკებს, დამზადებული იყო 177,000 ფუთი, ნორმალურ 800,000 ფუთის მაგიერ; ხოლო შემდეგ როდესაც ისინი დარწმუნდნენ, რომ აზერბაიჯანი ნავთს არ მისცემს, მაშინ შეუდგნენ მაღაროების არა ნორმალურ ექსპლოატაციას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი სამუშაო ძალების დიდი ნაწილი გამოყენებული იყო წინასწარ მუშაობაში, ჩვენ მაინც შევასრულეთ მაღაროებში წარმოება ნორმალურ საფუძველზე. ციფრები ასეთია: 1921 წლის განმავლობაში მარტი—378,000 ფ., აპრილი—200,000 ფ., მაისი—321,000 ფ., ივნისი—327,000 ფ., ივლისი—247,000 ფ., აგვისტო—357,000 ფ., სექტემბერი—196,000 ფ., ოქტომბერი—248,000 ფ., ნოემბერი—217,000 ფ., დეკემბერი—273,000 ფ. სულ ათი თვის განმავლობაში დამზადებულია 2,756,000 ამ რიგად ჩვენ შევძელით ტყიბულის მაღაროების გადარჩენა კატასტროფისაგან და მათი წარმოების ნორმალურ საფუძველზე შეყვანა. ამ ქამად მაღაროები მდებარეობით კარგად არიან მოწყობილი და თუ მეწარმეები ისინი საჭირო მასალებით მომარაგებული იქნებიან, შეიძლება ითქვას, რომ მეწარმეებისათვის ტყიბულის მრეწველობის გაფართოვება უზრუნველყოფილია.

გადავიდეთ შორაპნის ცეცხლ-მიუკარებელ აგურის ქარხანაზე ძირულაში. ეს ქარხანა არ მუშაობდა 1920 წლის ნოემბრიდან. თებერვლის გადატრიალების დროს, ქარხანა ძლიერ დაზიანდა, მოყვა სამხედრო მოქმედების რაიონში და მოითხოვდა მნიშვნელოვან რემონტს. თეორეტიულად ქარხანას წარმოება ასეთია: წლიურად ცეცხლგამძლე თიხის დამზადება უდრის 150 ათას ფუთს, ხოლო აგურისა—280 ათას ფუთს. 1920 წელს მენშევიკების დროს დამზადებამ მიაღწია 100 ათას ფუთამდე, ხოლო 1921 წელს საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დამზადდა 120 ათასი ფუთი თიხა, ე. ი. 80 პროც. თეორიულ-ლი წარმოებისა და თუ ვიანგარიშებთ ამ თვეს საბჭოთა ხელისუფლებისას, ჩვენ დავინახავთ, რომ წარმოებამ მიაღწია 96 პროცენტამდის, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ფაქტიურად წარმოება დაიწყო მაისიდან, მაშინ წლიური დამზადება თიხისა უწინდელ დონეს გადაამეტებს. რაც შეეხება ცეცხლ-შეუპოვარ აგურს, 1920 წელს მენშევიკებმა დაამზადეს 80 ათასი ფუთი, ესე იგი 32 პროც. 1921 წელს კი დავამზადეთ 110 ათასი ფუთი აგური, ან 45 პროც. აქაც თუ ათი თვის წარმოებას ვიანგარიშებთ დავინახავთ, რომ მივაღწიეთ 53 პროც. აქედან თქვენ ნათლად დაინახავთ თუ რამდენად მართალნი არიან დასავლეთ ევროპის მენშევიკები, როდესაც ამტკიცებენ, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ საქართველოში ყოველგვარი მრეწველობა ჩაჰკლა. ეხლა თქვენი ყურადღება უნდა მივაპყრო მარილის მრეწველობას. ჯერ-ჯერობით მარილის დამუშავებამ მიაღწია 600 ფუთამდე. ეს მრეწველობა ამ ქამად იმყოფება მოწყობის ხანაში, სწარმოებს გამოკვლევები მარტყოფში და ნორიოში. დაცილებული წინასწარი მუშაობა ექსპლოატაციის დასაწყებად უკვე გათავებულია. მიღებულია ზომები ბურღვისათვის, დებულის მოსამზადებლად, გაკეთებულია აუზები და მუდმივი მარილის სახარშები და სხვა, შემდეგ უნდა შევაჩეროთ თქვენი ყურადღება ნავთის მრეწველობის საორგანიზაციო მუშაობაზე. კახეთის ნავთიანი რაიონების (შირაქში, ფხოველში, ზემო ხოდაშენში, უჯარმაში, მუხროვანში), გეოლოგიური გამოკვლევებით ერთად, დაწყებულია ნავთის ამოღება შინა მრეწველურ საშუალებით. მექანიკური მოწყობილობათა მისვლებამდე, ჩვენ მივმართეთ ბაქოს, სადაც ეს კითხვა დადებითად გადაწყდა, მიღებული გვაქვს ორი სამუშაო დაზგა ყველა ნაწილებით, 25 ათასი ფუთი ძალზე მილი და სხვა ინსტრუმენტები. რადგან სპეციალისტი მუშები არ გვყავდა, გადავწყვიტეთ კვალიფიციური მოვიყვანა იქიდან ქეშში მომუშავე ორი პარტია. რადგან არ გვქონდა მაგარი ხის მასალა, ჩვენ მოვიყვანეთ ორი ჯგუფის ძველი ქვეყნიდან აღებული და ახალ ქებზე გაკეთება.

დეკემბრის პირველამდე ფხოველში ჩვენ ჩავედით 11 საჟენზე და ზემო ხოდაშენში 15 საჟ. ამავე დროს ფხოველში გეოლოგების ჩვენებით გაყვანილ იქნა მთავალი სწყალი ზრეების (ფენების) გეოლოგიურ სტრუქტურის დაწვრილებით გასაცნობად. სწარმოებდა ახალ დებული მუშაობა ფხოველის დიდი ქვის შესაძლებლობის გამოსარკვევად. რა თქმა უნდა, აქ არ შეიძლება ლაპარაკი ნავთის მრეწველობაზე, მაგრამ ეხლა ჩვენ გვაქვს ისეთი შედეგები, რომლებიც ნებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ეს მრეწველობა კეთდება. რა წესით განვითარდება ამ მრეწველობა, კონცესიის გაცემით, თუ თვით სახელმწიფო აიღებს—ეს სხვა საკითხია.

შემდეგი მრეწველობა გახლავთ შავი ქვის წარმოება. პირველ მარტიდან პირველ დეკემბრამდე 1921 წელს ჭიათურის შავი ქვის საწარმოზე არ სწარმოებდა არც ამოღება, არც გარეცხა და არც გაზიდვა შავი ქვისა. ფოთიდან გატანილ იქნა მხოლოდ 426,038 ფუთი პიროლუზიტი. უეჭველია ეს პოლიტიკური პირობების ბრალია, 60 მილიონ ფუთზე მეტი მარგანეცი დაგროვილია ჭიათურაში და ფოთში, გასაღებელი კი არ არის. შავი ქვის დიდი მნიშვნელობის გამო, დიდხანს მოუხდით ურთიერთ დამოკიდებულების გამორკვევას მთავრობასა და შავი ქვის მრეწველთა შორის, განსაკუთრებით „ჩემოს" საზოგადოებასთან ურთიერთობის წესდება, რომლის ძალითაც მთავრობა იღებს 35 პროც. წმინდა მოგების და ყოველ წლიურად დამუშავებულ მადნის 10 პროც., ხოლო არა ნაკლებ 3 მილ. ფუთისა და აგრეთვე შავი ქვის რეალიზაციიდან მიღებულ მთელ უცხოეთის ვალუტას დღიური კურსით. რაც შეეხება თვით მადნის მაღაროებს, ჩვენ შეგნებულად არ მოვახდინეთ წარმოების გაერთიანება და ამით დავკმაყოფილდით, რომ გაუქმებულად გამოვაცხადეთ ყველა არსებული ხელშეკრულებანი და გადავწყვიტეთ მრეწველებს დასდონ ჩვენთან ახალი პირობები კონცესიის სახით. სათანადო დებულება შემუშავებულია და წარდგენილია კომისარიატში დასამტკიცებლად და არის იმედი, რომ ამ დებულების დამტკიცებისთანავე ხელახლა გამოცოცხლდება მიძინებული ჭიათურის შავი ქვის მრეწველობა, რომელიც იძლეოდა საშუალოდ 38.4 მილ. ფუთ მადნეულს (მაქსიმუმი 1913 წ. 59 მილ. ფუთი, წელიწადში. საჭიროა აგრეთვე რამდენიმე სიტყვის თქმა სხდ. ყაზბეგის რაიონში სახურავის ფიქალის მიღების შესაძლებლობის შესახებ.

გამოკვლევამ გვიჩვენა, რომ ეს ფიქალი მშვენიერად გასწევს თუჯისა და სხვა გადასახურავ მასალის მაგივრობას. მას აქვს უცვლელობის თვისებები და სხვა შესაფერი თვისებები მაგ. არ იწვის და სხვა.

რაც შეეხება ხე-ტყის დამუშავების მრეწველობას, სატყეო კომიტეტის ცნობით, წლის განმავლობაში აღებულია ანგარიშზე: 1,800.000 კუბიკური ფუტი დვირი, 19,799 შპალი, 8,870 ცალი სამადნე ძელი. 21,755 ფუთი ბზა, 12,248 კუბიკური საჟენი შეშა 10,185 ფუთი ნახშირი, 1,000 ცალი ყავარი, 619,715 ცალი კლიოპკა, 27 ვაგონი ჩვეულებრივი დახერხილი ხე-ტყის მასალა, 40,000 ფუთი სადალიუტო ხე ტყე, 204,000 ფურცელი ფანერი.

ადგილ დამზადებულია 394,000 კუბ. ფუთი მორი, 147,570 ცალი შპალი, დახერხილი ხე-ტყე 400,000 კვ. ვერშ., 12,192 ცალი მაღაროს ბიჯგი, 547,000 ცალი სარი, ბზა 3000 ცალი, შეშა 680 კუბ. საჟ., ნახშირი 12000 ფუთი. უფრო მწვავედ სდგას საკითხი გადატანისა. გადმოტანილია რკინის გზის და მდინარეების საშუალებით 1,262.000 კუბ. ფუთი მორი, 112,300 ცალი შპალი, 219053 ცალი კლიოპკა, 12000 ცალი მაღაროს ბიჯგი, 54000 ცალი სარი, 7000 ფუთი ბზა, შეშა 3200 კუბ. საჟენი, ნახშირი 12180 ფუთი, მუხის ქერქი 5806 ფუთი. გაცემულია მოთხოვნილებისამებრ: 60000 ფუთი მორი, 19000 ცალი შპალი, 36000 კვად. ვერშოკი ფიცარი, 336000 კვად. ვერშოკი ფიცარი, 100,000 კლიოპკები, 41600 კვად. ვერშოკი ძელი, 15000 კვ. ვერშ. რეიკა, გოლაშილები 200 საჟენი, ყუთების მასალა 12 ვაგონი, მაღაროს ბიჯგები 7000 ცალი, 54050 ცალი სარი, კაკლის ხის ძელი 44751 ცალი, ბზა 3324 ფუთი, ფანერა 54131 ფურცელი, შეშა 320 კუბ. საჟენი, ნახშირი 10,000 ფუთი, დამზადებულია სხვა და სხვა ავეჯეულობის ფაბრიკაში სხვა და სხვა ავეჯეულობა 20423 ცალი, მოქნილი ავეჯეულობა 63 დუჟინი, სანიშაო ავეჯეულობა ასი დუჟინი. შეშის მოზიდვის საქმე იანვრამდე ვერ იყო მოწესრიგებული, რადგან სატყეო კომიტეტის რეკვიზიტები იზარდებოდა სატყეო მასალის გაზიდვისა და მორების დასამზადებლად. რაც შეეხება შეშის გადმოზიდვას დაწყებული სექტემბრის პირველ რიცხვებიდან სატყეო კომიტეტის რკინის გზებთან ახლო საწყობებში შეშის დიდი მარაგი იყო, მაგრამ ვაგონების დროზე მიუწოდებლობის მიზეზით, ვერ იქნა გადმოტანილი საკმაო შეშა. მორების უმთავრესი დამზადება ხდება ტყის მდიდარ ადგილებში, როგორიც არის ბორჯომის, ახალციხის, სვანეთის, რაჭის და ფოთის რაიონები. ყველა ეს რაიონები აკმაყოფილებდნენ, როგორც შინაურ, ისე გარეშე ბაზრის მოთხოვნილებას. აქედან სჩანს თუ რამდენი ინიციატივა იქნა გამოჩენილი. დამზადება ხდება ისეთ რაიონებში, სადაც უკანასკნელ წლებში კერძო ინიციატივას ადგილი არ ჰქონდა. შპალების დამზადება სწარმოებს ძლიერ სასწრაფოდ რადგან რკინის გზის დიდი მოთხოვნილებაა, რაც შეეხება ხე-ტყის სახერხი ქარხნების მუშაობას, მათი მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იყო ნედლი მასალის სიმცირე და მასთან ის, რომ ზოგიერთი ქარხნები ისეთ რაიონშია, რომ უზრუნველ იყო ქარხნები მასალით, მაგრამ რადგან წარსულ წლების სეზონი მხედველობიდან იქნა გამორჩენილი, სატყეო კომიტეტმა მოაწყო იმ მორების გამოტანა, რომლებიც შემთხვევით იყო დამზადებული წარსულ სეზონებში. რესპუბლიკის ტყეებში წარსულ პერიოდში სატყეო კომიტეტის მიერ მიღებულ ზომების წყალობით, მუშაობდა შემდეგი გაერთიანებული ქარხნები: ბორჯომის, ტფილისის, გორის, სუმბათოვის, ქუთაისის, ხონის, სამი ფოთის ქარხანა, ნოჯიხევის და წამბლაძის ხევის. ამ გადავედეთ ეხლა სამშენებლო მასალის დამზადებაზე ჩვენის ცნობით, 1920 წელში აგურის, კრამიტის და გამომწვარი კირის ქარხნები არ მოქმედებდნენ. მუშაობდა მხოლოდ ანდრეოლეტის ქარხანა, 1918 და 1919 წლების დარჩენილ მასალით აკეთებდა 800,000 კრამიტს. 1921 წელს ამუშავებულ იქნა 9 ქარხანა, სადაც კეთდებოდა 400,000 აგური, 500,000 კრამიტი, 500,000 ფუთი კირი, 4700 კოდი (კოდი 5 ფუთია) გამომწვარი კირი, 1000 ცალი სხვა და სხვა ქურჭელი, რომლის საერთო ღირებულება უდრის 380,900 ოქროს მანეთს. შემდეგ გადავიდეთ თამბაქოს წარმოებაზე. 1920 წელში მთელი წლის განმავლობაში მუშაობდა მხოლოდ 16 ფაბრიკა და კერძო 8 ფაბრიკა, არ მუშაობდა 5 ფაბრიკა 1921 წელში კი მუშაობდა 24 ფაბრიკა, არ მუშაობდა 5. შვიდ დიდ ფაბრიკის წარმოება უდრიდა 191 მილ. ცალ პაპიროსს თვეში. 1916 წელში წარმოება უდრიდა ფაბრიკებისა 107 მილ. ცალს, დანარჩენ წლებში წარმოება პროგრესიულად ეცემოდა, ეს აიხსნება მით, რომ უკანასკნელ წლებში არ იყო ბაზარი და საშუალება გარეთ გატანისა. ჩვენგან უკვე მიღებულია ზომები სპარსეთის და სხვა ბაზრის დაპყრობისა. ერთ წელში დამუშავებულია 14842 ფუთი თამბაქო, 362,942,000 ცალი პაპიროსი სულ ღირებული ერთი მილ. ექვსასი ათას ას ოთხმოც და რვა მანეთად ოქროთი. პოლიგრაფიული წარმოება: 1922 წლის პირველ იანვრამდე გაკეთებულია 32382 კლიშე, 2,369,000 შრიფტი, 570 ფუთი, მათი ნამუშევარი აღემატება 125 პროცენტით ნორმალურ წარმოებას, უფრო სუსტად მუშაობდნენ საპნის და ზეთის სახელოსნო ქარხნები, ნედლი მასალის უქონლობის გამო; საერთოდ მათი ნაწარმოები უდრის 140 ათას მანეთს ოქროთი. წუმწუმის ფაბრიკა „ასანთი" წარმოება სამჯერ მეტია 1920 წლის წარმოებაზე; შეკეთებულია გომის არყის სახდელი ქარხანა, რომელიც ძალიან დაზიანდა თებერვლის გადატრიალების დროს, შევქმენით ახალი წარმოება ავჭალის შუშის ქარხანა, რომელიც ადგილობრივ ნედლი მასალით გვაძლევს საუცხოვო თეთრ შუშას. მისი წარმოება უდრის თვეში 40.000 ცალ ფაბრიკატს. მეტალურგიული წარმოება, დიდი გადაკეთების შემდეგ, ხელახლა ამუშავდა ამ ქამად ყველა ქარხნები, რომლებიც მოშლილი იყო საბჭოთა ძალა უფლების დამყარების დროს, მოქმედებენ. მიღებულია ზომები ჩაქაბის ქარხნის ასამოძრავებლად, რომელიც 4 წელია სდგას. საფეიქრო-საკერავო წარმოება, გაერთიანებულ ფაბრიკების ნაწარმოები უდრის 16.543 მანეთს ოქროთი. სატყეო წარმოება მთელი წლის განმავლობაში უწესრიგო მდგომარეობაში იყო, მაგრამ წლის ბოლოს საქმე გაუმჯობესდა და შეიძლება იმედი ვიქონიოთ, მისი კარგი მომავლისა, ამ დარგის ნაწარმოებთა ღირებულება 169,000 მან. უდრის ოქროთი.

შემდეგ კიდევ ერთი განყოფილება ჩვენი ცენტროტრამოტი, რომელიც ასრულებს ტრანსპორტის ყოველ სახის საქმეს: სატვირთოს, საავტომობილოს, სარკინისგზოს და სანაოსნოს. ცენტროტრამოტის მოვალეობაა განტვირთვა რკინის გზებისა და ბათომის პორტისა და აგრეთვე გადაზიდვა შავი ქვისა ჭიათურაში და ფოთში. 1921 წლის ნოემბერ-დეკემბერში გადატვირთულია შვიდას ოთხმოცდა შვიდი ათას შვიდას ოთხმოცდა ათი ფუთი შავი ქვა. ამ დრომდე კი თითქმის 6 თვეზე მეტი ას ოთხმოცდა თექვსმეტი ვაგონი იყო გაჩერებული გზაზე და არ იყვნენ გადმოტვირთული, მანამ საქმე არ გადავიდა ცენტროტრამოტის ხელში. ცენტროტრამოტის ხელშივე გადავიდა და იმყოფებიან მის კონტროლის ქვეშ რეკვიზიციის და ეკონომიური განყოფილების განკარგულებაში დატოვებული შემდეგი პუნქტები: ბათომისა, ბორჯომისა, ფოთისა, ოზურგეთისა, ახალსენაკისა, ზუგდიდისა და ქუთაისისა. ცენტროტრამოტს მინდობილი ქონდა მოეწყო დროებითი სახელოსნოები სამხედრო გადასაზიდ საშუალებათა შესაკეთებლად. შეკეთებული იყო სამხედრო უწყებისათვის ფურგონები, საგზაო საზიდრებით და სხ. სულ 174 ც. დაწყობილია ორგანიზაცია საექსპლოატაციო კანტორების ტრანსპორტისა ტფილისში და ბათომში. ეს კანტორები შეასუსტებენ კერძო ტრანსპორტის კანტორების ძალას, რითაც სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებს მისცემენ უფრო მეტ შეღავათს და მოუტანენ სახელმწიფოს შესაფერ მოგებას. ახალი პოლიტიკური ეკონომია კატეგორიულად მოითხოვდა ჩვენგან უმთავრეს საკითხს, გლეხთა საბჭოთა მეურნეობის აღმშენებლობაში ჩარევის გადაწყვეტას მუშათა და გლეხთა მტკიცე კავშირის ნიადაგზე. ჩვენ უნდა შევჩერებულიყავით იმ წარმოებაზე, რომელიც უფრო უახლოვდებოდა გლეხთა მასსას უფრო გასაგები იქნებოდა მისთვის და შეერთებოდა მოქმედებულ რაიონებში მოსახლეობის ინტერესებს. ამასთანავე სახელმწიფოს ისედაც მცირე რესურსების გამო, ნაკლები ხარჯი გაეწია ამ წარმოებაზე და სამაგიეროდ მიეცა მისთვის უფრო მეტი სამეურნეო ეფექტი. ჩვენ ვეძებდით ახალ წარმოებებს და ბოლოს კიდევაც გავჩერდით სამელიორაციო სამუშაოზე. ამ დარგში ჰიდრავლიურმა აღმშენებლობამ მაქსიმალურად განავითარა თავისი მოქმედება. უმაღლეს სამეურნეო საბჭოს ინიციატივით მოწყობილი იყო რამდენჯერმე კვირაობა, რომლის საშუალებით შესრულდა წინასწარი მუშაობა მიწების მორწყვის საქმის შესახებ, დუშეთის მაზრის სოფლებში: ნაოზაში, ლამში, მისაქციელში და წილკანში, ეს მუშაობა გაგრძელდა სამი დღე, რაზედაც გამოყენებული იყო ორი ათასზე მეტი მუშა ხელი, უმთავრესად კომუნისტები და წითელ არმიელები. ეს საკვირაო საშუალებით გამოიწვია მშრომელ გლეხთა საბჭოთა აღმშენებლობის საქმის ჩარევაში. ერთდროულადვე დაწყებული იყო მუშაობა თითქმის ყველგან საქართველოში და განსაკუთრებით კი მის დასავლეთ ნაწილში. მხოლოდ კახეთი სდგას ჯერ ჯერობით ამ ახალ მოვლენის გარეშე, მაგრამ იმედი გვაქვს დანარჩენ საქართველოს მაგალითი იქონიებს იმაზედაც თავის გავლენას. ეს საქმე თხოულობს ისეთ დიდ ხარჯებს, რომ ჩვენ ვერ ვაკმაყოფილებდით მის შესრულებას ჩვენი ძალით, თუ რომ გლეხობა არ გამოგვიჩენდა დახმარებას. საქმე იმაშია, რომ მიწების მორწყვის ყველა საქმეს გლეხობა კისრულობდა უფასოდ, თავისუფალ შრომის ბეგარის სახით: გათვალისწინებული მუშაობა, რომელიც უნდა დამთავრდეს ორი წლის განმავლობაში, აღადგენს სარწყავ მიწას არა ნაკლებ 90 ათასი დესიატინით. ამასთანავე 75 ათასი კუბ. საჟენი, რომელიც ხდება წილად პირველ წელს, უკვე გათხრილია 20,450 კუბ. საჟ. და თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ამ წლის [illegible]

## სნეული ფიქრები

თებერვლის მზეს ღიმს ჰგვრიდა—მთით ხმა ყრუ[illegible]
რუს მოჰქონდა ძირს, ბარად ამოკვნესა ხევისა;
ფრთა მედგარი გრიგალი გაძარცულ ტყეს არხევდა
და ხმელ ფოთლებს გაქცეულთ დასაჭერად დასდევდა!..

ბინდის ქამზე მთოვარემ მთებზე სტავრა გაფინა
და თეთრ რუქის დიმილი ტბის სარკეზე გაყინა;
უწვდენ სივრცედ მართავდა ლურჯ მაუდის სტადიონს
და ზედ ვერცხლად აფრქვევდა ურიცხვ ვარსკვლავთ მაყრიონს.

იერიშად შლილ დრუმელთ მნათმა ვეღარ დასძალა,
შავ საბანში ნახევრად თეთრი სახე ჩამალა;
გაიძაბა ნისლთ ზოლი და მთოვარეს დღემოკლეს,
დაეკიდა თავს ისე, ვით მახვილი დემეკლეს!...

მივაშურე ჩემს ბინას, ვით მხდალს, მშიშარს უხდება
ჩემს ოთახში რას ვაქნევ, გარედ აწ რაც მოხდება,..
ქარ-ტეხილი მრისხანედ ეხეთქება კარებსა,—
კიბეებზე აგროვებს ურიცხვ პეპელთ ჯარებსა!—

წინ მიდგება ჩვენებათ ჩემი ბედი უთქმელი,
ჰე, სჯობს შუშა ჩავაწყო, რომ არ ჩაქრეს ლუმელი;
დღეს ჩემ ძვირფას კიდობანს ჩამოვგლიჯე ფიცრები,
თვით არ ვიცი მის ცეცხლით—ნეტარებით ვით ვთვრები..

თვალი ხარობს, გული კი ვერც მან გაახალისა,
რადგან ფიქრებს შიშსა ჰგვრის მოგონება ხვალისა;
ფიქრს კი გრძნობით შებორკილს მოღალატედ ქცეულსა,
დღეს მხოლოდ და ის ძალ უძს,—ქმნიდეს ლექსებს სნეულსა!

მ. უზნაძე.

1919 წ. ქ. ტფილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

